საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/23

ქ.თბილისი

"24" ივნისი 2017 წ.

გერმანული კომპანია Rohde&Scwartz GmbH & Co. KG _სგან 1 (ერთი) წლიანი პროგრამული განახლებისა და ტექნიკური მხარდაჭერის შესყიდვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ, Rohde&Scwartz GmbH & Co. KG _ისგან 1 (ერთი) წლიანი პროგრამული განახლებისა და ტექნიკური მხარდაჭერის გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის; „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1_ლი პუქნტის „გ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. SPA120024502 ელექტრონული ტენდერის საშუალებით 2013 წელს შეძენილი (შესყიდვის ღირებულება 293 000 ლარი) GSM, CDMA, UMTS, WiMax, LTE ტექნოლოგიების მონიტორინგისათვის განკუთვნილი ანალიზატორის 1 (ერთი) წლიანი პროგრამული უზრუნველყოფის განახლების და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის" 10[1] მუხლის მე-3 პუქნტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე - მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით;
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფს (ლ.გაგუა) აღნიშნული შესყიდვის უზრუნველსაყოფად მოახდინოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
3. შესყიდვის ღირებულება განისაზღვროს Rohde&Scwartz GmbH & Co. KG _ის შემოთავაზების მიხედვით, რაც შეადგენს 4 600 (ოთხი ათას ექვსასი) ევროს (Incoterms 2010 - CIP) საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე;
4. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფმა, უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება გერმანულ კომპანია Rohde&Scwartz GmbH & Co. KG_სთან 1 (ერთი) წლიანი პროგრამული უზრუნველყოფის განახლების და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვის მიზნით;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა);

ბრძანების გამოცემის საფუძველი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N შ.10/3809.17, 15.05.2017 წ).

კომისიის თავმჯდომარე — კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge